ინსტრუქცია

<u>საბაზო ზოგადი უნარების ტესტირების, შიდა ტესტის,</u>
<u>მოტივაციური გასაუბრების ან შემოქმედებითი ტურის დაწყებამდე</u>
<u>ინსტრუქცია წაიკითხეთ თავიდან ბოლომდე</u>

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევა (საბაზო ზოგადი უნარების ტესტირება, შიდა ტესტი, მოტივაციური გასაუბრება, შემოქმედებითი ტური) კოლეჯის მიერ ორგანიზებულია და პირისპირ ან ონლაინ ფორმატში წარიმართება. ინფორმაციას შერჩევის დღესა და ადგილთან დაკავშირებით, აპლიკანტები სარეგისტრაციო სისტემაში, მათ პერსონალურ გვერდზე მოიძიებენ. დეტალები მითითებული იქნება საგამოცდო ბარათზე, მათი ამობეჭდვა კი შესაძლებელი იქნება ვებგვერდიდან: **www.vet.emis.ge**

გაითვალისწინეთ, რომ საგამოცდო ბარათზე მითითებულია რეგისტრაციის დაწყების დრო, რომელიც 30 წუთის განმავლობაში მიმდინარეობს. დაგვიანებული პირები ტესტირებაზე არ დაიშვებიან.

წესები, რომლებიც გამოსაცდელმა უნდა დაიცვას ტესტირების პროცესში:

გამოსაცდელს უფლება აქვს, თან იქონიოს:

- წყალი (პლასტმასის ბოთლით);
- პირადი ჰიგიენის ნივთები.

გამოსაცდელი ვალდებულია, თან იქონიოს:

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გაცემული **საგამოცდო ბარათი** და **პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დოკუმენტი**;
- **კალამი**.

გამოსაცდელს ეკრძალება:

- მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის შეტანა საგამოცდო ოთახში;
- დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება, გარდა კოლეჯის მიერ შეთავაზებული ნივთებისა;
- გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან სხვა გამოსაცდელისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
- სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება;
- მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;
- გადალაპარაკების, დახმარების გაწევის ან მიღების, დამხმარე მასალის, მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის აღმოჩენის, სამუშაო ადგილის დატოვებისა და მითითების გარეშე მუშაობის დაწყების, აგრეთვე წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში, გამოსაცდელი მიიღებს გაფრთხილებას, რაც მიეთითება საგამოცდო უწყისში. ამ დარღვევების განმეორების შემთხვევაში, პირი იხსნება ტესტირებიდან.